საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/40

ქ. ბათუმი 22 ივნისი, 2022 წ.

,,ბსუ-ს ემერიტუსის ფულადი ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N108 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 და 62-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანების და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს ემერიტუსის ფულადი ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N108 დადგენილებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, დადგენილების N1 დანართის (წესის):

ა) მე-4 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) **შესაბამის სემესტრში სასწავლო პროცესის** დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში **ან დასრულებისთანავე,** ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით და პროფესორის თანხმობით, პროფესორის თანამდებობიდან გათავისუფლების პირობით;“;

ბ) მე-9 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) ბსუ-ს ემერიტუსის გარდაცვალების შემთხვევაში (სამსახურებრივი ბარათი წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სტრუქტურული ერთეულის მიერ, რომლის წარდგინებით/ინიციატივით მოხდა ბსუ-ს ემერიტუსის წოდების მინიჭება. შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში სამსახურებრივ ბარათს ბსუ-ს რექტორს წარუდგენს ასევე ბსუ-ში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული).“.

2. წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილება ამოქმედდეს 2021-2022 სასწავლო წლიდან.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები" - კოდიფიცირებული წესი, ასევე ,,აკადემიური საბჭოს აქტები“).

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ბსუ-ს ემერიტუსებს.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**